Shape the future with confidence

EY საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

ოქტომბერი - დეკემბერი 2025

ცვლილებები „ტურიზმის შესახებ“ კანონში

- 2026 წლის 1 იანვრიდან საქართველოში შემომსვლელ ტურისტს უნდა ჰქონდეს ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის სავალდებულო დაზღვევა.
- უცხოელს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოში შემოსვლაზე, თუკი მას არ ექნება ჯანმრთელობისა და უბედური შემთხვევის დაზღვევა.
- საქართველოს მთავრობის დადგენილებით ასევე განისაზღვრა სავალდებულო დაზღვევის წესები და პირობები, რომლის თანახმადაც სადაზღვევო პოლისის თანხა მინიმუმ უნდა შეადგენდეს 30,000 ლარს.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 15/12/2023

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 29/12/2025

„სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი

- 2025 წლის 13 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო ტექნიკური რეგლამენტი „სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) შესახებ”, რომლის მიხედვითაც ცვლილებები შევიდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის N304 დადგენილებაში.
- რეგლამენტის თანახმად, 2026 წლის 1 იანვრიდან იკრძალება პლასტმასისაგან დამზადებული ჩანგლების, დანების, კოვზების, ჩხირების, თეფშების, საწრუპების, სასმლის მოსარევების, გაფართოებული პოლისტიროლისგან (EPS) დამზადებული სასურსათო კონტეინერების, ჭიქების და მათი თავსახურების ადგილობრივ ბაზარზე წარმოება, იმპორტი და ბაზარზე განთავსება.
- კვების ობიექტების მიერ მომხმარებლისთვის მზა სურსათის მიწოდება პლასტმასისგან დამზადებული ერთჯერადი სასურსათო კონტეინერებისა და ჭიქების საშუალებით დასაშვებია 2026 წლის 1 ივლისამდე.
- თანმდევი ცვლილებები შევიდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, რომლის თანახმადაც ზემოხსენებული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს 1,000 ლარით დაჯარიმებას, ხოლო განმეორებითი ქმედება დაჯარიმდება 2,000 ლარით.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 14/11/2025

საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. 02/12/2025

ცვლილებები „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონებში

- 2025 წლის 12 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონებში ცვლილებები გამოქვეყნა, რომლებიც 2025 წლის 17 დეკემბერს მიიღო.
- ცვლილებების შესაბამისად, 2026 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა ბიზნესომბუდსმენის აპარატი, ანტიკორუფციული ბიურო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური.
- 2025 წლის 31 დეკემბერს თანამდებობაზე მყოფი ბიზნესომბუდსმენი 2026 წლის 1 იანვრიდან გადავიდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მრჩევლად და იქიდან განაგრძობს ბიზნესომბუდსმენის უფლებამოსილებების შესრულებას.
- 2026 წლის 2 მარტიდან ანტიკორუფციული ბიუროს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ფუნქციებს შეითავსებს სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. 12/11/2025
საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი.

ცვლილებები „მედიაციის შესახებ“ კანონში

- 2025 წლის 9 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები მიიღო.
- ცვლილებებით დაზუსტდა, რომ სასამართლომ შეიძლება აღასრულოს კერძო მედიაციის შედეგად შედგენილი სამედიაციო მორიგება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- ცვლილებების მიხედვით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეიძლება ცნოს ან აღასრულოს საერთაშორისო სამედიაციო მორიგება ერთ-ერთი ან ორივე მხარის მიმართვის საფუძველზე.
- ცვლილებების თანახმად, საქართველოს მედიატორთა ასოციაციის ფარგლებში იქმნება ეთიკის კომისია, რომელიც მედიატორის მიერ ეთიკის ერთიანი სტანდარტის დარღვევის შემთხვევაში მის მიმართ განახორციელებს დისციპლინურ სამართალწარმოებას.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 12/12/2025

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება

- 2025 წლის 4 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ძირითადი და აქცესორული მოთხოვნების (მოთხოვნა, რომელიც უკავშირდება ძირითად მოთხოვნას და მის გარეშე, დამოუკიდებლად ვერ იარსებებს) ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.
- დავის მიხედვით, მოსარჩელემ მოპასუხეზე გასცა სესხი საბანკო კრედიტის ხელშეკრულების საფუძველზე.
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო პროცენტი და პირგასამტეხლო სესხის დაგვიანებით გადახდის შემთხვევაში.
- მოპასუხემ სრულად არ დაფარა სესხი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადამდე.
- მოსარჩელემ თავდაპირველი სარჩელით მოითხოვა მხოლოდ სესხის ძირი თანხის დაკისრება.
- მოგვიანებით, დაზუსტებული სარჩელით, მოსარჩელემ დამატებით მოითხოვა დარიცხული პროცენტისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
- მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა პროცენტისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე.
- პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ რადგან სესხის ძირი თანხის ანაზღაურების მოთხოვნა (ძირითადი მოთხოვნა) არ იყო ხანდაზმული, პროცენტისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნებიც (აქცესორული მოთხოვნები) არ შეიძლებოდა ხანდაზმულად ჩათვლილიყო.
- უზენაესი სასამართლო არ დაეთანხმა ქვედა ინსტანციის სასამართლოებს და განმარტა, რომ მიუხედავად პროცენტისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნების აქცესორული ხასიათისა, მათი ხანდაზმულობის საკითხი ძირითადი მოთხოვნისგან დამოუკიდებლად უნდა შეფასებულიყო.
- შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ პროცენტისა და პირგასამტეხლოს მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო დაზუსტებული სარჩელის შეტანის თარიღიდან, ისინი ხანდაზმულად მიიჩნია და ამ ნაწილში გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი. 04/12/2025

ცვლილებები „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“

- 2025 წლის 9 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ ცვლილებების პროექტი პირველი მოსმენით მიიღო.
- ცვლილებების თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ყოველ 4 წელიწადში ერთხელ შეიმუშავებს ბაზარზე ზედამხედველობის ეროვნულ სტრატეგიას.
- ცვლილებები გავრცელდება როგორც საქართველოში წარმოებული, ასევე იმპორტირებული პროდუქტების მიმართ.
- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს იმ პროდუქტის ნიმუშის გადაცემა, რომელზეც აქვს ინფორმაცია ან საფუძვლიანი ეჭვი, რომ შეიცავს საფრთხეს ადამიანის სიცოცხლისთვის, ჯანმრთელობისთვის, საკუთრებისთვის ან/და გარემოსთვის.
- ბაზარზე ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილი იქნება ეკონომიკურ ოპერატორს მოსთხოვოს საფრთხის შემცველი პროდუქტის რეალიზაციის შეჩერება, ბაზრიდან ამოღება ან/და განადგურება.
- კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს 10,000 ლარამდე ჯარიმებს პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. 05/11/2025

საქართველოს მთავრობის დადგენილება №523

- 2025 წლის 1 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც ადგენს ახალ მოთხოვნებს სპირტიანი სასმელების შემადგელობასთან, ეტიკეტირებასთან და დასახელებასთან მიმართებით.
- რეგლამენტის მოთხოვნები არ ვრცელდება სპირტიან სასმელებზე, რომლებიც ბაზარზე განთავსებულია 2026 წლის 1 მარტამდე.
- რეგლამენტი ადგენს უფრო კონკრეტულ მოთხოვნებს სპირტიანი სასმელების ოფიციალური დასახელების, გეოგრაფიული აღნიშვნის და წარმოშობის ადგილის მითითებასთან, აგრეთვე, სასურსათო პროდუქტის ეტიკეტირებისას სპირტიანი სასმელების აღნიშვნასთან დაკავშირებით.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 05/12/2025

ცვლილებები „მეწარმეთა შესახებ“ კანონში

- 2025 წლის 26 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები მიიღო.
- ცვლილებების შესაბამისად, საჯარო მოსამსახურეს მიეცემა შესაძლებლობა, რომ იყოს იმ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც, რომელშიც სახელმწიფო 50%-ს ან 50%-ზე ნაკლებ წილს ფლობს.
- ცვლილებებამდე, საჯარო მოსამსახურეს მხოლოდ იმ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა შეეძლო, რომელშიც სახელმწიფო 50%-ზე მეტ წილებს ფლობდა.
- ცვლილები განაპირობა გარდაბნისა და გონიოს ტერიტორიებზე უძრავი ქონების ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტმა.
- თანმდევი ცვლილება შევიდა „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონშიც.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. 19/11/2025

ცვლილებები „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონში

- 2025 წლის 26 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები მიიღო.
- ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს დაეკისრა ვალდებულება, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქციადაკისრებულ პირს შეუზღუდოს წვდომა ფულად სახსრებსა და სხვა ქონებაზე.

- ანგარიშვალდებულმა პირმა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან წარსადგენ ანგარიშგებაში უნდა მიუთითოს იმ აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებზედაც სანქციადაკისრებულ პირს წვდომა შეუზღუდა.
- ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას: პირველ შემთხვევაში - გაფრთხილებას, ხოლო განმეორების შემთხვევაში - 1,000 ლარის ჯარიმას.
- ცვლილებები სრულად 2026 წლის 1 მარტიდან ამოქმედდება.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. 19/11/2025

ცვლილებები „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“

- 2025 წლის 26 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ შეტანილი ცვლილებები გამოაქვეყნა.
- ცვლილებები შეეხება აქციზური განაკვეთების მარეგულირებელ ნორმებს და ითვალისწინებს თამბაქოს ზოგიერთი ნაწარმისთვის განსაზღვრული აქციზური განაკვეთის ზრდას.
- ცვლილებით, ასევე, განისაზღვრა შეღავათიანი სააქციზო განაკვეთი ადგილობრივი წარმოების ზოგიერთ თამბაქოს ნაწარმზე.
- ცვლილება შეეხება თამბაქოს აქციზის გამოთვლის წესსაც. კერძოდ, თამბაქოს ზოგიერთ ნაწარმზე აქციზის გადასახადი განსაზღვრისას გაითვალისწინება საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 20%, ნაცვლად აქამდე გათვალისწინებული 30%-ისა.
- ცვლილება ამოქმედდა 2026 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 28/11/2025

ცვლილებები „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“

- 2025 წლის 14 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ შეტანილი ცვლილებები გამოაქვეყნა.
- ცვლილებებით საგადასახადო კოდექსიდან ამოღებულია სპეციალური სავაჭრო ზონის და ბაზრობის ორგანიზების მარეგულირებელი ნორმები. შესაბამისად, კოდექსში შეტანილია რედაქციული ხასიათის ცვლილებები.
- სხვა ცვლილებებთან ერთად, კოდექსის გარდამავალ დებულებებში დაემატა ნორმა, რომლის მიხედვითაც საწარმოებისთვის ფინანსური ინსტიტუტებიდან 2023 წლის ან შემდგომი პერიოდის განმავლობაში მიღებული მოგებიდან შემდგომ გადახდილი დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავს გაცემული დივიდენდის ორჯერ დაბეგვრის აღმოფხვრას.
- ცვლილება ამოქმედდა 2026 წლის 1 იანვრიდან.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 14/11/2025

საქართველოს მიერ წარდგენილი დათქმები და შეტყობინებები ეგთო-ს დასაბეგრი ბაზის შემცირებისა და მოგების გადატანის აღკვეთის მრავალმხრივ კონვენციასთან დაკავშირებით

- 2025 წლის 11 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელიც შეეხება ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეგთო) მრავალმხრივი კონვენციის ფარგლებში საქართველოს მიერ წარსადგენი განახლებული დათქმებისა და შეტყობინებების რატიფიცირებას.
- აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ეგთო-ში შეტანილ იქნა ოქმი, რომელიც მოიცავს საქართველოს სახელით წარდგენილ დათქმებს მრავალმხრივი კონვენციის კონკრეტული ნორმების გამოყენების შესახებ და რომელიც გამოხატავს ნებას მრავალმხრივი კონვენციის დაფარვის სფეროს გაფართოების შესახებ.
- აღნიშნული შეტყობინება მიზნად ისახავს, რომ მრავალმხრივი კონვენცია გავრცელდეს საქართველოს მიერ გაფორმებულ იმ ორმაგი დაბეგვრის საერთაშორისო შეთანხმებებზეც, რომლებზეც მისი მოქმედება აქამდე არ ვრცელდებოდა.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი. 13/11/2025

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გადაწყვეტილება

- 2025 წლის 30 ოქტომბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ერთ-ერთ კომპანიას დაუდგინა დარღვევა დასაქმებულის სამსახურებრივ ელ. ფოსტაზე წვდომასთან დაკავშირებით.
- შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კომპანიას შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგაც ჰქონდა ყოფილი დასაქმებულის სამსახურებრივ ელ. ფოსტაზე წვდომა, რაზეც დასაქმებულს არ ჰქონდა გაცხადებული თანხმობა.
- კომპანიის შიდა დოკუმენტები არ შეიცავდა მკაფიო და გასაგებ ინფორმაციას ელ. ფოსტაზე კომპანიის შესაძლო წვდომისა და მასზე არსებული ინფორმაციის შენახვის წესების შესახებ.
- დასაქმებული მის სამსახურებრივ ელ. ფოსტაზე კომპანიის შესაძლო წვდომის შესახებ მხოლოდ ზეპირსიტყვიერად იყო ინფორმირებული, რაც ეწინააღმდეგებოდა გამჭვირვალობის პრინციპს.
- კომპანიას დაეკისრა ჯარიმა და გამჭვირვალობის პრინციპის სრული დაცვის უზრუნველსაყოფად დაევალა სამსახურებრივი ელ. ფოსტის კონტროლისა და მონაცემების შენახვის შესახებ ინფორმირების წესების მკაფიოდ განსაზღვრა.

გამოქვეყნების წყარო და თარიღი: პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებგვერდი. 30/10/2025

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტატო ჩანტლაძე
მმართველი პარტნიორი
შპს „იუაი“
კოტე აფხაზის ქ. 44, 0105, თბილისი
ტელ: +995 (32) 215-88-11
Tato.Chantladze@ge.ey.com

EY | Building a better working world

EY არსებობს გამართულად მომუშავე სამყაროს შესაქმნელად. ჩვენ ვეხმარებით კლიენტებს, ჩვენს თანამშრომლებს და საზოგადოებას გრძელვადიანი დოვლათის შექმნაში და ვზრდით კაპიტალის ბაზრების სანდოობას.

150-ზე მეტ ქვეყანაში EY-ის გუნდის წევრები უახლეს ტექნოლოგიებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უზრუნველყოფენ ინფორმაციის სანდოობას რწმუნების გაცემის გზით და ეხმარებიან კლიენტებს თავიანთი საქმიანობის გაფართოებაში, გარდაქმნასა და ეფექტურად წარმართვაში.

EY-ის აუდიტის, საკონსულტაციო, საგადასახადო, იურიდიული, სტრატეგიისა და გარიგებების მომსახურებების სპეციალისტებით დაკომპლექტებული გუნდები სვამენ სწორ კითხვებს, რაც მათ დღევანდელობის კომპლექსურ გამოწვევებთან დაკავშირებით სწორი პასუხების პოვნაში ეხმარება.

კომპანიის სახელწოდება EY აღნიშნავს „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედის“ წევრი ფირმების გლობალურ გაერთიანებას ან მის ერთ ან ერთზე მეტ წევრ ფირმას, რომელთაგან თითოეული დამოუკიდებელი იურიდიული ერთეულია. თავად „ერნსტ ენდ იანგ გლობალ ლიმიტედ“, გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული გარანტიით შეზღუდული კომპანია, კლიენტებს მომსახურებას არ უწევს. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვებს და იყენებს EY პერსონალურ მონაცემებს, ასევე ფიზიკური პირების მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების აღწერა ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: ey.com/privacy. ჩვენი ორგანიზაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ჩვენს ვებგვერდზე ey.com

© 2026 შპს „იუაი“

ყველა უფლება დაცულია.

წინამდებარე პუბლიკაცია შეიცავს შეჯამებული სახის ინფორმაციას და ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადად სახელმძღვანელოდ. ის ვერ გასწევს დეტალური კვლევის ან პროფესიული დასკვნის მაგივრობას. ვერც EYGM ლიმიტედ და ვერც EY-ის გლობალური ორგანიზაციის რომელიმე წევრი ვერ იკისრებს წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალის გამო რომელიმე პირის რამე ქმედების ან მის მიერ ქმედებისგან თავის შეკავების შედეგად განცდილი ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობას. განსაკუთრებულ შემთხვევებში სასურველია კონსულტაციის მიღება შესაბამისი სპეციალისტისგან.

http://www.ey.com/georgia